მე-11-12 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რომელ წინადადებაშია უარყოფითი ნაცვალსახელი?

ა) „ონისეს მაგივრად ხელისმომკიდედ სხვა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს.“

ბ) „ტრიბუნაზე ვიღაც თავგამოდებით საუბრობდა, თუმცა მის საუბარს ყურადღებას არავინ აქცევდა.“

გ) „ხანდისხან რაღაც მჭვუნვარება შეუხრიდა წარბებს.“

2. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში:

„ ონისეს სისხლი მოსწოლოდა თვალებში და დროგამოშვებით უელავდა.“

ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) მოქმედებითში

3. რომელი წყვილის წევრებს შორისაა მართვა ?

ა) თეთრი ხელთათმანი ბ) აქ გაიმართება გ) საუკუნის ვირუსი

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელია ჟარგონი?

ა) გაჩითვა ბ) დავიდარაბა გ) მოიკა

5. რას ნიშნავს სიტყვა „კრატერი“?

ა) ჩაღრმავებული ადგილი ვულკანის თავზე;
ბ) დაწყევლილი ადგილი;
გ) გამდნარი მინერალური მასა;

6. რომელია ბარბარიზმი?

ა) შახმატი ბ) ძეხვი გ) იატაკი

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ერის საუნჯე - „ვეფხისტყაოსანი“

ავთანდილი გაემართა ტარიელის სატრფოს - ნესტან-დარეჯანის საძებნელად და გზად მიმავალი გადაეყარა ვაჭართა ქარავანს. მეკობრეებისგან შეშინებული მექარავნეები იდგნენ ზღვის ნაპირას და ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ავთანდილმა მათ დახმარება შესთავაზა და გაიმარჯვა კიდეც მეკობრეებთან ბრძოლაში, რის გამოც ვაჭრებმა უდიდესი მადლობა გადაუხადეს.

„ყმამან უთხრა: მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,

ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,

იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა,

ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა.“

ავთანდილმა მიაგნო ნესტან-დარეჯანის ადგილ-სამყოფელს და გახარებული ბრუნდება ტარიელთან, რათა აცნობოს ყოველივე და გადასცეს სატრფოს ხელით დაწერილი ბარათი.

ტარიელი მოკლული ლომ-ვეფხვის ტყვეობაშია და ავთანდილის დანახვამ ძალზედ გაახარა, თუმცა ნესტანის პოვნის ამბავი ვერ დაიჯერა. მაშინ აჩქარდა ავთანდილი და სატრფოს წერილი აჩვენა ტარიელს, რომელიც მოულოდნელობისგან უგონოდ დაეცა. ამით შეწუხებული ავთანდილი ამბობს:

„აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,

ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,

მიწყივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.

იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.“

7. უფლის აღმნიშვნელი რამდენი შესიტყვებაა I სტროფში?

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

8. ვინ არიან „ძალნი ზეციერნი“?

ა) უფალი ბ) ეშმაკი გ) ანგელოზები

9. რას იქმან „ძალნი ზეციერნი“?

ა) იქმან ყველაფერს კარგს; ბ) იქმან როგორც დაფარულს, ასევე ცხადს ;

გ) იქმან ბრძენთა ნასწავლს;

10. მოძებნეთ ანტონიმები I სტროფიდან:

ა) იდუმალი - ცხადი ბ) ღმერთი - შემოქმედი გ) დაფარული - იდუმალი